

ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ.
წიწკანაანთსერის ტერიტორიაზე
მესაქონლეობის ფერმა

*ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა
ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების
პროექტი*

შპს „ყვარლის ბაგა“

დამტკიცებულია

შპს „ყვარლის ბაგა“

შეთანხმებულია

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი

_____ წ.

_____ წ.



შპს „ყვარლის ბაგა“-ს მესაქონლეობის ფერმა ყვარლის
მუნიციპალიტეტში, სოფ. წიწკანაანთსერის ტერიტორიაზე

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები
გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი

შემსრულებელი: GNCorporation

თბილისი, 2022

სარჩევი

ანოტაცია	4
ძირითად ტერმინთა განმარტებანი	5
1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ	6
2. საწარმოს განლაგების რაიონის კლიმატური დახასიათება	7
2.1. კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები	7
3. ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება.....	9
3.1 ტექნოლოგიური სქემა და რეგლამენტი.....	9
3.2 ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება.....	14
4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები.....	17
5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში	17
5.1 ემისიის გაანგარიშება ცხოველთა სადგომებიდან	17
5.1.1. ემისიის გაანგარიშება პირუტყვის N1- N10 სადგომებიდან - გ-1 - გ-10	22
5.1.2. ემისიის გაანგარიშება არსებული სახბორედან და საჩრდილობელიდან - გ-11 და საპროექტო სახბორედან - გ-12	23
5.1.3. ემისიის გაანგარიშება ნაკელის N1- N4 ლაგუნებიდან - გ-13 - გ-16.....	24
5.1.4. კომბინირებული საკვების მომზადება - გ-17 - გ-18 წყაროები.....	27
5.1.5. ემისიის რაოდენობის ანგარიში საქვავე დანადგარებიდან	28
5.1.6. ემისიის გაანგარიშება დიზელის უბნიდან - დიზელის საწვავის რეზერვუარიდან და ავტომანქანების შევსებისას - (გ-23).....	30
5.1.7. ემისიის რაოდენობის ანგარიში სეპტიკიდან (ზედაპირის ფართობი 3600 მ2) - ბიოლოგიური გამწმენდიდან - გ-24:	33
6. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების პარამეტრები ..37	
ცხრილი 6.1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება	37
ცხრილი 6.2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება	46
ცხრილი 6.3. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების დახასიათება	54
ცხრილი 6.4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზება, ტ/წელი	54
7. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში.....	56
7.1. გაბნევის გაანგარიშების გრაფიკული ნაწილი	58
8. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები.....	64
9. გამოყენებული ლიტერატურა.....	71
10. დანართები.....	72

ანოტაცია

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან ერთად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენილ განცხადებაზე თანდართულ აუცილებელ დოკუმენტს.

ზდგ ნორმების მოცემულ პროექტში დეტალურადაა განხილული შპს „ყვარლის ბაგას“ მესაქონლეობის ფერმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

დოკუმენტი შემუშავებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების და მათგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, საწარმოს განვითარების პერსპექტივის, ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრთა და გაბნევის ანგარიშის გათვალისწინებით, დაბინძურების თითოეული წყაროსა და თითოეული მავნე ნივთიერებისთვის გაანგარიშებულია ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების მნიშვნელობები.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის გამოყენებით, ზდგ მნიშვნელობები განსაზღვრულია იმ პირობით, რომ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს შესაბამისი მავნე ნივთიერებებისთვის დადგენილ კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს.

ზდგ ნორმები დგინდება 5 წლის ვადით დაბინძურების სტაციონარული წყაროების მაქსიმალური შესაძლო სიმძლავრით დატვირთვის პირობებისთვის.

ძირითად ტერმინთა განმარტებანი

დოკუმენტში გამოყენებული ძირითადი ტერმინებია:

- ა) "ატმოსფერული ჰაერი" - ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;
- ბ) "მავნე ნივთიერება" - ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;
- გ) "ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება" - ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში ნებისმიერი ნივთიერების გაფრქვევა, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;
- დ) "მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყარო" - ობიექტი, რომლიდანაც ხდება მავნე ნივთიერებათა გამოყოფა (ტექნოლოგიური დანადგარი, აპარატი და სხვა);
- ე) "მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყარო" - ობიექტი, რომლიდანაც ხდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა (საკვამლე მილი, სავენტილაციო შახტა და სხვა);
- ვ) "დაბინძურების წყარო" - მავნე ნივთიერებათა გამოყოფის ან (და) გაფრქვევის წყარო;
- ზ) "მავნე ნივთიერებათა ორგანიზებული გაფრქვევა" - მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა სპეციალურად გაკეთებული მოწყობილობებიდან (საკვამლე მილი, სავენტილაციო შახტა და სხვა);
- თ) "მავნე ნივთიერებათა არაორგანიზებული გაფრქვევა" - მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა არამიმართული ნაკადის სახით (დანადგარების ჰერმეტიულობის დარღვევის, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილებში გამწოვი დანადგარების არადაამაკმაყოფილებელი მუშაობის და საერთოდ მათი არარსებობის დროს და ა.შ.).
- ი) ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეული გასაშუალებული პერიოდისათვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მავნე ზემოქმედებას.
- კ) საშუალო დღე-ღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია დღე-ღამის განმავლობაში აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების გასაშუალოებით.
- ლ) მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია 20-30 წუთიან დროის ინტერვალში ერთჯერადად აღებულ სინჯების კონცენტრაციის მნიშვნელობების მიხედვით.
- მ) "ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა" - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევის დადგენილი რაოდენობა, გაანგარიშებული იმ პირობით, რომ დაბინძურების ამ წყაროსა და სხვა წყაროების ერთობლიობიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმას.

1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

შპს „ყვარლის ბაგა“ საქართველოში რძის ყველაზე დიდი მწარმოებელი კომპანიაა, რომლის მიზანია რძის წარმოების თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა რეგიონში.

ფერმა სრულად აგებულია „ებრაული ფერმის“ მოდელის მიხედვით, რომელიც ტრადიციულ ევროპულ მოდელთან შედარებით, მთელ რიგ უპირატესობებს ფლობს. უპირატესობა გამოიხატება, როგორც პირუტყვის კომფორტსა და ჯანმრთელობაში, ასევე მის პროდუქტიულობაშიც. ფერმის დღიური წველადობა, საშუალოდ, 30000 ლიტრ რძეს შეადგენს, რომლითაც მარაგდება ადგილობრივი ბაზრის რძის პროდუქტების მწარმოებელი მსხვილი კომპანიები. რძის ხარისხი კონტროლდება ყოველდღიურად, ფერმაში არსებული თანამედროვე ლაბორატორიული აღჭურვილობის საშუალებით.

შპს „ყვარლის ბაგას“ მესაქონელობის ფერმა მდებარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ წიწკანანათსერის მიმდებარე ტერიტორიაზე. საწარმოს ტერიტორიის გეომეტრიული ცენტრის GPS კოორდინატია (WGS84/UTM/Zone 38): X- 570922; Y - 4640739. პირდაპირი უმცირესი მანძილი ფერმის საკადასტრო საზღვრიდან უახლოეს დასახლებულ შენობამდე შეადგენს დაახლოებით 120 მეტრს და 430 მეტრს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. მესაქონელობის ფერმის ფართობი შეადგენს დაახლოებით 31 ჰექტარს.

კომპანია გეგმავს ნახირის რაოდენობის გაზრდას 3500 სულამდე, რაც თავის მხრივ გულისხმობს ფერმის ინფრასტრუქტურის გაზრდას, დამატებით სამი სადგომის აშენებით და საწველი დარბაზის დამატებით, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობით.

ზოგადი ცნობები საწარმოო ობიექტის შესახებ მოცემულია ცხრილში N4.1.

ცხრილი №1: ზოგადი ცნობები საწარმოო ობიექტის შესახებ

ობიექტის დასახელება	შპს „ყვარლის ბაგას“ მესაქონელობის ფერმა
ობიექტის მისამართი:	
ფაქტიური	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი წიწკანანათსერი
იურიდიული	ქ. ყვარელი, ი. ჭავჭავაძის ქ. N13
საიდენტიფიკაციო კოდი	441554051
GPS კოორდინატები UTM/WGS84/(Zone 38)	X - 570922; Y - 4640736
ობიექტის ხელმძღვანელი:	
გვარი, სახელი	ნათია გარგულია
ტელეფონი	595 30 09 70
ელ-ფოსტა	natia.gargulia@redix.ge
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	≈ 120 მ (სამხ-აღმ) ≈ 430 მ (ჩრდ-დას)
ეკონომიკური საქმიანობის სახე	მეცხოველეობა
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	ნატურალური რძე
საპროექტო წარმადობა	3500 სადგომი ძროხებისთვის
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	-
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენებულის გარდა)	ბუნებრივი აირი - 28 000 მ ³
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	365
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	24

2. საწარმოს განლაგების რაიონის კლიმატური დახასიათება

2.1. კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები

ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს. დაბალმთიანეთში, ზღვის დონიდან 1 000-1 200 მეტრზე განვითარებულია ზომიერად ცივი ზამთარი და თბილი ზაფხული, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 8-9 °C-ს შეადგენს. საშუალო მთიანეთში ზღვის დონიდან 1700-1800 მეტრზე იცის ცივი ზამთარი და ხანგრძლივი ცივი ზაფხული, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა კი 5-6 °C-ია, 1800 მეტრის ზემოთ ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 3-4 °C-მდე ეცემა. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 795 მმ-იდან 938 მმ-მდე მერყეობს ზონალობის მიხედვით. ნალექების მაქსიმუმი (19% წლიური ჯამიდან) მაისშია, ხოლო მინიმუმი იანვარში (წლიური ჯამი 2%). ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში ნაჩვენებია საკვლევი რაიონისთვის დამახასიათებელი კლიმატური პირობები, ყვარლის მეტეოსადგურის მონაცემების მიხედვით (წყარო: სნწ „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01. 05-08)). სამშენებლო კლიმატური დარაიონების მიხედვით ყვარელი განეკუთვნება II კლიმატურ და II ბ კლიმატურ ქვე-რაიონს.

ცხრილი №2.1.1. სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

პუნქტის დასახელება	კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C
ყვარელი	II	IIბ	-5-დან -2-მდე	+21-დან +25-მდე

ცხრილი №2.1.2. ჰაერის ტემპერატურა, °C

თვის საშუალო												წლის საშუალო	აბს. მინიმუმი	აბს. მაქსიმუმი	ყველაზე ცივი ხუთდღიური საშუალო	ყველაზე ცხელი ხუთდღიური საშუალო
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	ო	მი	უმი	საშუალო	ო
1,0	2,7	6,6	11,9	17,0	20,9	23,6	23,6	19,2	13,8	7,6	2,9	12,5	-23	38	-8	-11

ცხრილი №2.1.3. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %													
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლის საშუალო	
78	73	72	70	70	66	65	64	72	77	80	80	72	

ცხრილი №2.1.4. ნალექების რაოდენობა

ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღელამური მაქსიმუმი, მმ
1070	99

ცხრილი №2.1.5. თოვლის საფარი

თოვლის საფარის წონა, კპა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი
0,50	21

ცხრილი №2.1.6. ქარის მახასიათებლები

ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ					ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი								ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ	
1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი
21	26	29	31	32	32/34	15/16	3/4	7/11	12/15	8/10	10/8	12/12	2,3/0,4	1,4/0,6

ცხრილი №2.1.7: გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

თიხოვანი და თიხნარი	წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრემისებური ქვიშის	მსხვილნატები
0	0	0	0

ჰაერის დაბინძურებაზე გავლენის მქონე მეტეოპარამეტრებისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში №2.1.8.

ცხრილი №2.1.8. ატმოსფეროში დამაბინძურებელი ნივთიერებების გაბნევის პირობების გამსაზღვრელი მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები

მეტეოროლოგიური მახასიათებლების და კოეფიციენტების დასახელება	მნიშვნელობები
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
ადგილის რელიეფის გავლენის ამსახველი კოეფიციენტი	1.0
წლის ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა, °C	29,9
წლის ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, °C	0,7
ქართა საშუალო წლიური თაიგული, %	
- ჩრდილოეთი	28
- ჩრდილო-აღმოსავლეთი	16
- აღმოსავლეთი	4
- სამხრეთ-აღმოსავლეთი	10
- სამხრეთი	15
- სამხრეთ-დასავლეთი	8
- დასავლეთი	8
- ჩრდილო-დასავლეთი	11
შტილი	43
ქარის სიჩქარე (მრავალწლიური მონაცემების მიხედვით), რომლის გადამეტების განმეორებადობა შეადგენს 5%-ს.	3,7

3. ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება

3.1 ტექნოლოგიური სქემა და რეგლამენტი

"ყვარლის ბაგა" საქართველოში რძის ყველაზე დიდი მწარმოებელი კომპანიაა, რომლის მიზანია რძის წარმოების თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა რეგიონში. კომპანია დაარსდა 2010 წელს კახეთში, კერძოდ, ყვარელში. ფერმის ადგილმდებარეობა შეირჩა სპეციალურად ხელსაყრელი კლიმატის და ნაყოფიერი ნიადაგის გათვალისწინებით. დღეისათვის კომპანიას ჰყავს 2100 მსხვილფეხა საქონელი (მათ შორის 1015 მეწველი ძროხა), სპეციალურად შერჩეული ჰოლშტეინის ჯიშის ძროხები, რომლებიც ყოველდღიურად დაახლოებით 30000 ლიტრ რძეს იწველიან. ამასთან, ყვარლის ბაგის საკუთრებაშია 450 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, სადაც ძირითადად იწარმოება სილოსი, სიმინდი, იონჯა, ხორბალი და საქონლის გამოსაკვებად აუცილებელი ნატურალური და ჯანმრთელი საკვები. ქვემოთ მოცემულია მესაქონლეობის ფერმის განთავსების ხედი.

“ყვარლის ბაგას” ფერმაში მიღებულ რძეს მაღალმწარმოებლური, ჰოლშტეინის ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იწველება. ფერმა სრულად აგებულია „ებრაული ფერმის“ მოდელის მიხედვით, რომელიც ტრადიციულ ევროპულ მოდელთან შედარებით, მთელ რიგ უპირატესობებს ფლობს. უპირატესობა გამოიხატება როგორც პირუტყვის კომფორტსა და ჯანმრთელობაში, ასევე მის პროდუქტიულობაშიც. ფერმის დღიური წველადობა, საშუალოდ 30 ტონა რძეს შეადგენს, რომლითაც მარაგდება ადგილობრივი ბაზრის რძის პროდუქტების მწარმოებელი მსხვილი კომპანიები. რძის ხარისხი კონტროლდება ყოველდღიურად, ფერმაში არსებული თანამედროვე ლაბორატორიული აღჭურვილობის საშუალებით. გარდა ამისა, საბოლოო ხარისხი მოწმდება თავად გადამამუშავებელ კომპანიებშიც. ფერმის აღჭურვილობა და მართვის სისტემა მესაქონლეობის დარგში წამყვანი ქვეყნების სტანდარტებს შეესაბამება, რაც მაღალი ხარისხის რძის წარმოების საშუალებას იძლევა.

„ყვარლის ბაგაში“ წარმოებული რძის ძირითადი შემსყიდველები არიან ქვეყნის ფარგლებში არსებული წამყვანი რძის გადამამუშავებელი კომპანიები: "სანტე“, "აგროჰაბი“, "პეპსიკო“ (ვიმბილდანი), „ნატურალ+“ და სხვა კომპანიები.

კომპანიას დაგეგმილი აქვს ფერმის 2100 სადგომის 3500-მდე გაზრდა, ჯამში 1500 მეწველ სულამდე.

როგორც აღვნიშნეთ, შპს „ყვარლის ბაგა“-ს მესაქონლეობის ფერმა მდებარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ წიწკანაანთსერის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტერიტორია წარმოადგენს ალაზნის ვაკის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილს. ფერმა მდებარეობს ზღვის დონიდან 340 მეტრ სიმაღლეზე, ხოლო ქ. ყვარლიდან 6 კილომეტრის დაშორებით. საწარმოს ტერიტორია ეკუთვნის სოფელ კუჭატანის თემს, რომელშიც გაერთიანებულია სოფ. კუჭატანი, სოფ. სანავარდო და სოფ. წიწკანაანთსერი. საწარმოს ტერიტორიის გეომეტრიული ცენტრის GPS კოორდინატია (WGS84/UTM/Zone 38): X- 570922; Y-4640739. პირდაპირი უმცირესი მანძილი ფერმის საკადასტრო საზღვრიდან უახლოეს დასახლებულ შენობამდე შეადგენს დაახლოებით 120 მეტრს სამხრეთ-აღმოსავლეთით და 430 მეტრს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. მესაქონლეობის ფერმის ფართობი შეადგენს დაახლოებით 31 ჰექტარს. საქმიანობის ტერიტორია თავისუფალია მოსახლეობისგან, წარმოადგენს სასოფლო დანიშნულების მიწის სავარგულს. საწარმოს გარშემო ძირითადად წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთები.

მესაქონლეობის ფერმის უბანზე მოხვედრა შესაძლებელია წლის ყველა დროს, ნებისმიერი სახის ავტოტრანსპორტით, ველისციხე-ყვარლის საავტომობილო გზატკეცილის (მ69) და შემოგარენის

მეორეხარისხოვანი გზების მეშვეობით (სოფ. წიწკანანათსერი, სოფ. კუჭატანი).

სურათი 3.1.1 მესაქონლეობის ფერმის განთავსების ხედი



მესაქონლეობის ფერმის შენობა-ნაგებობები განთავსებულია კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე შემდეგი საკადასტრო ნომრებით:

- 57.05.51.000.336 - ფართობით 109670 კვ.მ
- 57.05.51.000.348 - ფართობით 175659 კვ.მ
- 57.05.51.000.405 - ფართობით 33823 კვ.მ

საწარმოს ინფრასტრუქტურა შედგება შემდეგი ნაგებობებისგან:

- საძროხეები; • ყოფ. მოსაწველი; • ანგარი; • სახბორე; • სასილოსე; • ლაგუნა; • პერსონალის ბლოკი; • წყალსატუმბი; • დაცვის ჯიხური; • მოსაწველი; • მთავარი ელ. ფარი; • საკვები პროდუქტების შესანახი; • თივის შესანახი; • სეპტიკი.

სამომავლოდ იგეგმება ფერმის გაფართოება, დამატებით სამი სადგომის აშენებით და საწველი დარბაზის დამატებით, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობით.

ფერმის სადგომები წარმოადგენს გადახურულ ოთხი მხრიდან ღია ნაგებობებს და აღჭურვილია ჰორიზონტალური ვენტილატორებით, რომელთა მუშაობის ინტენსივობა დამოკიდებულია სეზონსა და ამინდზე და რეგულირდება ავტომატურად, სენსორების საშუალებით. ვენტილატორების საშუალებით ხდება ტენიანობისა და ტემპერატურის რეგულირება პირუტყვის სადგომებში. სადგომებში საგებს წარმოადგენს ცხოველების მიერ გამოყოფილი ნაკელი, რომელსაც პერიოდულად ემატება ნამჯა ტენიანობის დასარეგულირებლად. ამასთან, დღის განმავლობაში ხდება სადგომების კულტივირება ტრაქტორების საშუალებით, ტენის აორთქლებისა და ჭარბი ნესტის კონცენტრირების თავიდან არიდების მიზნით. სადგომები დაპროექტებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თითოეული პირუტყვისთვის 25 მ², რათა არ მოხდეს დიდი რაოდენობით ცხოველების კონცენტრირება ერთ ადგილზე.

საწარმო აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული სისტემებით, რომელიც არეგულირებს კლიმატს ფერმებში, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ინტენსიური მესაქონლეობის შემთხვევაში, როდესაც ცხოველებს არ აქვთ თავისუფლად გადაადგილების და ოპტიმალური პირობების დამოუკიდებლად მოძებნის საშუალება. საძროხე ნაგებობებში დამონტაჟებულია სავენტილაციო სისტემა. ვენტილაციის შედეგად ძროხებს ექმნებათ კომფორტული გარემო, რაც დადებითად აისახება წველადობაზე. ვენტილაციის შედეგად საძროხეში განთავსებული ნაკელიც მეტად იწოვს პირუტყვის მიერ წარმოქმნილ სითხეს, რაც ამცირებს დაბინძურებული წყლების გაბნევის რისკს.

მოსაწველ შენობაში დამონტაჟებულია ცხოველური დაბინძურებული წყლის შესაგროვებელი სისტემა, საიდანაც წყალი ვაკუუმ სისტემით გადაიქაჩება სატუმბ სადგურში, ხოლო იქიდან ძირითად ლაგუნაში.

ძირითადი ლაგუნიდან დაბინძურებული წყალი მიეწოდება წყლის გამწმენდ სეპტიკს, რომელიც წარმოადგენს 9 შრიან სისტემას. აღნიშნულ სისტემას მინიმუმამდე დაჰყავს დაბინძურებული წყლის მართვისას უსიამოვნო სუნის და მტვრის ემისიები. წყალსადენი მილები განთავსებულია მიწის ქვეშ, დახურულ სივრცეში, რაც ამცირებს დაბინძურების რისკს, ასევე უზრუნველყოფს ცხოველის წყალსადენში ჩავარდნის აღკვეთას.

სეპტიკი წარმოადგენს მართკუთხედის ფორმის რეზერვუარს გრუნტის ბორტებით, რომელშიც წყალგაუმტარობის უზრუნველსაყოფად ამოგებულია 2 მმ სისქის მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენი. შემკრები ლაგუნა მოიცავს სამშრიან სისტემას, რომლის ყოველი შრის გავლისას წყალი იწმინდება შესაბამისად. წყლის გამწმენდი სეპტიკის ქვედა შრეზე მოწყობილია ღორღის ზედაპირი, ხოლო მის ქვემოთ იქმნება სააერაციო სისტემა, რაც უზრუნველყოფს წყლის მეტად გაწმენდას. საწარმოში გროვდება მხოლოდ საწველი შენობიდან გამომდინარე წყლები, შესაბამისად სეპტიკში მხოლოდ აღნიშნული წყლები ხვდება. საწარმოს ფუნქციონირებიდან (პირუტყვის ცხოველქმედების შედეგად) სხვა სახის დაბინძურებული წყლის გადინება არ ხდება. პირუტყვის ცხოველქმედების შედეგად წარმოქმნილი დაბინძურებული წყალი ნაკელთან განზავდება და ხდება მისი გატანა.

სადგომებიდან პერიოდულად ხდება დაგროვილი ნაკელი-ნამჯის ფენის მოხსნა და მისი განთავსება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე კომპოსტირებისთვის, შემდგომში კი გადანაწილება კომპანიის კუთვნილ სასოფლო სამეურნეო მიწებზე სასუქის სახით. ცხრილში №3.1.1 მოცემულია დეტალური ინფორმაცია კომპოსტირების უბნების თაობაზე.

ცხრილი №3.1.1. კომპოსტირების უბნები

საკადასტრო კოდი	დასახელება	ჰა
57.07.68.164	შილდა	3 ,9459
57.07.68.165	შილდა	3 ,2508
57.07.68.210	შილდა	27 ,863
57.07.68.214	შილდა	0 ,5213
57.07.68.274	შილდა	4 ,1954
57.07.68.273	შილდა	5 ,2384
57.07.68.278	შილდა	9 ,2588
57.07.68.295	შილდა	0 ,5085
57.07.68.366	შილდა	0 ,5135
57.07.68.377	შილდა	0 ,4026
57.07.68.378	შილდა	0 ,5047
57.07.68.380	შილდა	0 ,4444
57.07.68.381	შილდა	0 ,9209

57.07.68.382	შილდა	0 ,4807
57.07.68.383	შილდა	0 ,453
57.07.68.385	შილდა	0 ,7722
57.07.68.388	შილდა	0 ,5075
57.07.68.429	შილდა	0 ,9328
57.07.68.430	შილდა	1 ,0161
57.07.68.431	შილდა	1 ,0121
57.07.68.461	შილდა	1 ,2546
57.07.68.134	შილდა	6 ,3387
53.06.31.227	საქობო-შალაური	10 ,3656
53.06.31.228	საქობო-შალაური	1 ,4129
53.06.31.231	საქობო-შალაური	0 ,3909
53.06.31.225	საქობო-შალაური	0 ,7145
53.06.31.212	საქობო-შალაური	0 ,6069

უნდა აღნიშნოს, რომ ნაკვეთებში შეტანილი კომპოსტირებადი ნაკელის წლიური რაოდენობა შეადგენს 12 500 ტონას.

პირუტყვის ძირითად საკვებ ნედლეულს (60%) წარმოადგენს კომპანიის საკუთარი წარმოების მწვანე მასა. კვებისას გამოყენებულ დანამატებს წარმოადგენს ლუდის, და მზესუმზირის ნარჩენები, რომლის შექმნაც ხდება ქართული კომპანიებისგან. ასევე, დანამატად გამოიყენება მელასა, ანუ შაქრის ჭარხლის ნარჩენი.

საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია საკვების შესანახი სპეციალური ინფრასტრუქტურა, რომლებშიც სეპარირებულად ხდება ყოველი საკვები კომპონენტის განთავსება. საწყის ეტაპზე საკვები პროდუქტები იფქვება წისქვილში და ინახება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე. საკვების ყოველ გროვას თავზე გადაფარებული აქვს სპეციალური ფენა, რაც ხელს უშლის წვიმის წყლის ან დაბინძურებული ნივთიერებების საკვებში მოხვედრას, ასევე დაფქვილი მარცვლეულის გაფანტვას ძლიერი ქარის დროს. საკვების რაციონის შეზავებას უზრუნველყოფს სპეციალური მანქანა, რომელიც ახდენს საკვები პროდუქტების ზუსტ დოზირებას. საკვების დოზირება ხდება კომპიუტერის დახმარებით. საკვების დოზირების სპეციალურ მანქანას გააჩნია მიქსერი, რომელიც ერთმანეთში ურევს მიღებულ კომპონენტებს და საკვებს ამზადებს პირუტყვისთვის დასაყრელად. ვინაიდან კვების რაციონს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძროხების წველადობის მხრივ, საკვები კომპონენტების შეზავებას დიდი ყურადღება ეთმობა.

ცხრილი №3.1.2 მოცემულია დეტალური ინფორმაცია ფერმის მიერ მოხმარებული ნედლეულის შესახებ.

ცხრილი №3.1.2. წლიურად მოხმარებული ნედლეული

ნედლეულის სახეობა	მასა, ტ
Wheat Silage / ხორბლის სილოსი	2689.58
Wheat Straw / ხორბლის ნამჯა	1243.94
Corn Silage / სიმინდის სილოსი	7459.43
Alfalfa hay / იონჯის თივა	2021.67
Wheat grain / ხორბლის მარცვალი	594.23
Corn grain / სიმინდის მარცვალი	2569.83
Beer leftover BLO / ლუდის ნახარში	9156.53
Soy mill / სოიოს შროტი	495.13
D.D.G.S / სპირტის ნახარში	1503.38
Bypass fat (Magnapack) / საკვებ დანამატი ცხიმი (მაგნაპაკი)	151.23
Sodium bicarb / სოდა "NaHCO3"	95.18
MCP Calcium Phosphate / მონოკალციუმ ფოსფატი "CaH4P2O8"	39.53

Prestarter - ხბოების პრესტარტერი	570.67
Salt / მარილი "NaCl"	64.97
Limestone / კირქვა "CaCO3"	103.08
Antitoxin Micofix plus / ანტიტოქსინი მიკოფიქს პლიუსი	15.86
Antitoxin Vitalox 25kg / ანტი ტოქსინი ვიტალოქსი	8,50
Vit A Lact. Cows / ვიტამინ A 16M მეწველისთვის	5,82
Vit A Dry. Cows / ვიტამინ A 2M შშრალეებისთვის	3,42
Milk powder - რძის შემცველი	124.20

როგორც უკვე აღინიშნა, საკვები ინგრედიენტებიდან ნაწილის დამზადება ხდება ფერმაში, მაგალითად, სილოსის. თივის აღება ხდება ნაწილობრივ საკუთარი მიწის ნაკვეთებიდან (ფერმის მფლობელობაშია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები 450 ჰექტრამდე საერთო ფართობით), ნაწილის შემენა ხდება ადგილობრივი ფერმერებისგან.

მარაგების შედგენა ხდება სეზონურობის მიხედვით. თივის დასაწყობება ხდება დიდი ზომის „ტუკების“ სახით, მათთვის სპეციალურად განკუთვნილ ფარდულეებში და იხურება სპეციალური გადასაფარებლებით.

მარცვლეულის შემენა ხდება როგორც ადგილობრივი ფერმერებისგან, ისე იმპორტის გზით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მარაგების სისტემატური შევსება. ფერმის სასაწყობე ნაგებობებში ინახება დაახლოებით ორი კვირის მარაგი.

ლუდის ნარჩენის შემენა ხდება ადგილობრივ ბაზარზე. მარაგის შევსება ხდება ყოველდღიური მოწოდების გზით.

ვიტამინების, დაცული ცხიმისა და სხვა კონცენტრირებული საკვები დანამატების შემენა ხდება იმპორტისა და ადგილობრივი მომწოდებლებისგან, რომელთა მოწოდება ხდება ქარხნულ შეფუთვებში და ინახება დახურულ მშრალ საწყობებში. წინასწარ ხდება 3 თვემდე მარაგის დასაწყობება.

საქონლის კვება მიმდინარეობს ყოველდღიურად დამზადებული რაციონის საშუალებით, საკვების განთავსება საკვებ მაგიდებზე ხდება სპეციალური ტექნიკის საშუალებით დღეში ორჯერ. ამასთან, ყოველი დღის ბოლოს ხდება პირუტყვის „საკვები მაგიდების“ გასუფთავება ნარჩენი საკვებისგან, რომლის განთავსება ხორციელდება, ასევე, ზემოაღნიშნულ კომპოსტირების უბნებზე.

საწარმოს გააჩნია, ასევე, სახბორე, სადაც ხდება ახალდაბადებული ხბოების მოვლა-პატრონობა. თითო ძროხა, ერთი დღის განმავლობაში საშუალოდ იწველება სამჯერ, სპეციალურად გამოყოფილ შენობაში (მოსაწველი შენობა). თითოეულ ძროხას ფეხზე მიბმული აქვს ელექტრონული სამაჯური, რომლითაც ხდება, როგორც ძროხის გადაადგილების მონიტორინგი, ასევე დღის განმავლობაში მოწველის რაოდენობის კონტროლი.

საწარმოში დანერგილია ძროხების და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის აღრიცხვის თანამედროვე ტექნოლოგია. კერძოდ, მოწველის შემდეგ კომპიუტერულ ბაზაში ფიქსირდება თითოეული ძროხის მონაცემები, მათი წველადობის რაოდენობა, ინფორმაცია ძროხის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ა. შ. აღნიშნული ბაზის დახმარებით, საწარმოს საშუალება აქვს წინასწარ განსაზღვროს ძროხის შესაძლო დაავადება და მიიღოს შესაბამისი ღონისძიებები (მაგ: როდესაც კონკრეტული ძროხა სისტემატურად უკლებს წველადობას). მოსაწველ შენობაში განთავსებულია რძის ხარისხის შესამოწმებელი ლაბორატორია, სადაც სისტემატურად ხდება ახლადმიღებულ რძეში ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა. ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით.

საწარმოში საჭირო წყლის მიღება ხდება ჭიდან, რომელზეც საქმიანობის განმახორციელებელ კომპანიას გააჩნია ლიცენზია. საწარმო პროცესში დღიურად საჭიროა დაახლოებით 40 კუბ. მ. წყალი, შესაბამისად ჭიდან ამოღებული წყლის მოცულობა, მთლიანი დღის პერიოდისთვის, შეადგენს 40 კუბ. მ.-ს, რაც საკმარისია საწარმოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის. ჭიდან ამოღებული წყალი გამოიყენება, როგორც სამეურნეო დანიშნულებით, ასევე პირუტყვების სასმელად და საწარმო პროცესებისათვის. საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაედინება საწარმოში მოწყობილ საკანალიზაციო სისტემაში, რომელიც უერთდება ცენტრალურ საკანალიზაციო მილს.

საწარმოში ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის მიწოდება ხდება ცენტრალური ხაზიდან. საწარმოში შესული ყოველი ავტომობილი გადის სპეციალურ დანადგარში, სადაც ხდება მისი გაწმენდა წყლით. ასევე, საწარმოდან გამომავალი ავტომობილები გადიან მსგავს პროცედურას. ავტომობილების გარეცხვის შემდეგ წყალი ჩაედინება საწარმოში მოწყობილ საკანალიზაციო სისტემაში, რომელიც, ასევე უერთდება ცენტრალურ საკანალიზაციო მილს.

ფერმას გააჩნია დიზელის საწვავის შემნახველი რეზერვუარი და დიზელის გენერატორი, ენერჯის მიწოდების ალტერნატიული წყაროს სახით. ამასთან, ელ. მომარაგების მიზნით, ფერმის სადგომების სახურავებზე დამონტაჟებულია ორი 500 კვტ მზის პანელი. ფერმის ტერიტორიაზე - მოსაწველ შენობაში, ყველის უბანსა და სახბორეში განთავსებულია, ასევე, 4 საქვაბე დანადგარი. ბუნებრივი აირის წლიური მოხმარება შეადგენს 28000მ³. ცხელი წყლის სისტემა მუშაობს მთელი წლის მანძილზე, ხოლო გათბობის სისტემა სეზონურად.

დიზელის ცილინდრული ფორმის 15 ტონა მოცულობის მიწისზედა ავზი განთავსებულია ძროხების სადგომებისა და საწველი შენობიდან მოშორებით. ავზი დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებით. ავზი გამოიყენება დიზელის შესანახად და ტრანსპორტირებისთვის. მას გააჩნია პისტოლეტი და ლიტრაჟის ამთვლელი. ავზი დამზადებულია უჟანგავი ფოლადისგან. საწვავის ამოტუმბვა ხდება 230 ვ. პომპის საშუალებით. ავზი აღჭურვილია ავტომატური ჩასხმის პისტოლეტით და ავტომატური ლიტრაჟის ამთვლელით. ჩასხმის სიმძლავრე შეადგენს 80 ლ/წთ-ს. რეზერვუარი განთავსებული ბეტონის საძირკველზე. დიზელის რეზერვუარის შევსება ხდება თვეში ერთხელ ან ორჯერ საჭიროებისამებრ. დიზელის ავზიდან საწვავის ჩასხმა ხდება წარმოების პროცესში გამოყენებული ტექნიკისთვის. აღნიშნული რეზერვუარი შემოღობილია ბეტონის ზედაპირით, რომელიც უზრუნველყოფს, ავარიული დაღვრის შემთხვევაში, საწვავის შეგროვებას და გამორიცხავს ნიადაგში მის გავრცელებას.

საწარმოში ჯამში დასაქმებულია 80-მდე ადამიანი, საიდანაც 95%-ს შეადგენს ადგილობრივი მოსახლეობა. ადგილობრივები წარმოდგენილები არიან ძირითადად, სოფ. წიწკანანათსერიდან, სოფ. კუჭატანიდან და ქ. ყვარლიდან. გარდა სრული განაკვეთით მომუშავე პერსონალისა, საქმიანობის განმახორციელებელი სეზონურად ქირაობს დამატებით პერსონალს საჭიროების გათვალისწინებით. ფერმის ტერიტორიაზე თანამშრომლების ყოველდღიურად შეშვება ხდება სპეციალურად მოწყობილი საკონტროლო პუნქტიდან დეზობარიერების გავლის და ჰიგიენური დამუშავების შემდეგ, რაზედაც ხორციელდება მკაცრი კონტროლი.

3.2 ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება

ფერმის ფუნქციონირების შედეგად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მოსალოდნელია ძირითადად ცხოველებიდან (პირუტყვის სადგომი), ასევე, მათი ცხოველმყოფელობის შედეგად

(ნაკელის ლაგუნები). ემისიებს ადგილი ექნება, ასევე, ტერიტორიაზე განთავსებული ტექნოლოგიურ ციკლთან დაკავშირებული სხვა ინფრასტრუქტურაიდან.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის შედეგად, ტერიტორიაზე გამოვლენილ იქნა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 24 სტაციონარული წყარო.

სურათზე №3.2.1 მოცემულია საწარმოს გეგმა, სადაც დატანილია გაფრქვევის თითოეული სტაციონარული წყარო:

- გ-1 - გ-10 - პირუტყვის სადგომები
- გ-11 - სახბორე და საჩრდილობელი
- გ-12 - სახბორე
- გ-13 - გ-16 - ნაკელის ლაგუნები
- გ-17 - კომბინირებული საკვების მომზადების უბანი
- გ-18 - მარცვლეულის წისქვილი
- გ-19 - ადმინისტრაციული შენობის და საწველი უბნის საქვაბე
- გ-20 - ყველის წარმოების უბნის დიდი საქვაბე
- გ-21 - ყველის წარმოების უბნის მცირე საქვაბე
- გ-22 - ხბორების განთავსების შენობის მცირე საქვაბე
- გ-23 - დიზელის უბანი
- გ-24 - სეპტიკი

ფერმის ტერიტორიაზე განთავსებულია, ასევე, ბეტონის კვანძი, რომელიც ეკუთვნის შპს „დმს“-ის და ფუნქციონირებს მხოლოდ ფერმაში სამშენებლო სამუშაოების პერიოდში. შპს „დმს“-ის გაფრქვევის წყაროებია:

- გ-125 - შპს „დმს“-ს ბეტონის კვანძის ქვიშის საწყობი
- გ-126 - შპს „დმს“-ს ბეტონის კვანძის ღორღის საწყობი
- გ-127 - შპს „დმს“-ს ბეტონის კვანძის ცემენტის სილოსი
- გ-128 - შპს „დმს“-ს ბეტონის კვანძის ბეტონშემრევი

სურათი N3.1.2: მესაქონელობის ფერმის გეგმა, გაფრქვევის წყაროების დატანით



4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში გამოიყოფა მავნე ნივთიერებები. ცხრილში №4.1 მოცემულია ფერმაში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებები, მათი კოდები, თითოეული ნივთიერების მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო დღე-ღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების [5] მნიშვნელობები და საშიშროების კლასი.

ცხრილი №4.1. მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

მავნე ნივთიერებათა		ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ ³			მავნეობის საშიშროების კლასი
დასახელება	კოდი	მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო სადღეღამისო	სუზდ.	
1	2	3	4	5	6
ამიაკი	303	0,2	0,04	-	4
აზოტის (II) ოქსიდი	304	0,4	0,06	-	3
გოგირდწყალბადი	333	0,008	-	-	2
მეთანი	410	-	-	50	-
მეთანოლი	1052	1	0,5	-	3
ფენოლი	1071	0,01	0,003	-	2
ეთილფორმატი	1246	-	-	0,02	-
პროპანალი	1314	0,01	-	-	3
ჰექსანის მჟავა	1531	0,01	0,005	-	3
დიმეთილსულფიდი	1707	0,08	-	-	3
მეთილმერკაპტანი	1715	0,0001	-	-	4
მეთილამინი	1849	0,004	0,001	-	2
მიკროორგანიზმები	2603	-	-	5000	-
მტვერი ბეწვის	2920	-	-	0,03	-
ცემენტის მტვერი	2908	0,3	0,1	-	3
მტვერი	2909	0,5	0,15	-	3
ააონ	1610	1,5	0,05	-	2
აზოტის (IV) ოქსიდი	301	0,2	0,04	-	2
ნახშირბადის ოქსიდი	337	5	3	-	4
ნახშირწყალბადები	2754	-	-	1	3
ეთილმერკაპტანი	1728	0,00005	-	-	3
ნახშირბადის დიოქსიდი	380	-	-	-	-

5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ემისიის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშება შესაძლებელია განხორციელდეს ორი გზით:

- უშუალოდ ინსტრუმენტული გაზომვებით
- საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

დოკუმენტში გაანგარიშება შესრულებულია საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

5.1 ემისიის გაანგარიშება ცხოველთა სადგომებიდან

ცხოველთა სადგომებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების განსაზღვრისას, განხილულ იქნა სხვადასხვა მეთოდოლოგიები, როგორც საქართველოს

მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება № 435 „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ [6], ისე სხვა ქვეყნებში მოქმედი მეთოდოლოგიები და შერჩეულ იქნა ყველაზე უარესი სცენარის ვარიანტი - კოეფიციენტების უფრო მაღალი მნიშვნელობები და მავნე ნივთიერებათა სახეობების თვალსაზრისით უფრო მეტად დივერსიფიცირებული მიდგომა.

ყველა მავნე ნივთიერების ემისიის შეფასება განხორციელდა ლიტერატურული წყაროს [7] საფუძველზე. ამასთან, აზოტის [II] შეფასებისას, დამატებით გამოყენებულ იქნა [6] წყარო.

მეცხოველეობის ფერმებიდან ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის სიმძლავრეების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს ექსპერიმენტულად დადასტურებული 10%-ის წესი ანუ „ლინდემანის პრინციპი“ (კანონი), რომლის მიხედვით ენერჯის 10% მიეწოდება თითოეული წინა ტროფიული დონიდან შემდგომ დონეს [7].

აღნიშნული წესის თანახმად, ცხოველები ითვისებენ 7-13% ენერჯიას (ან ნივთიერებებს ენერგეტიკულ გამოსახულებაში). დანარჩენი 87-93% ორგანული ნივთიერებების (ცხოველების ცხოველმყოფელობის პროდუქტები) გადამუშავება განხორციელდება მიკროორგანიზმების საშუალებით და შემდგომ უტილიზდება. ცხოველების მიერ ათვისებული 10% საკვებიდან ფერმენტაციული დაშლის შედეგად უშუალოდ ცხოველებიდან ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა მავნე ნივთიერებათა მეთავედი ნაწილი.

მავნე ნივთიერებათა გამოყოფის ანგარიშის საწყისი მონაცემები მოცემულია ცხრილში N5.1.2.

ცხრილი N5.1.2: დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშების საწყისი მონაცემები

ცხოველთა მოვლა პატრონობის ტექნოლოგიური პროცესი	საანგარიშო პერიოდში დღეების რ-ბა (თბილი, გარდამავალი, ცივი)			პირუტყვის რ-ბა	ერთეულის მასა, კგ	მასა, ცენტნერი	კოეფიციენტის დასახელება	ერთდროულობა
	თ	ბ	ც				გრაფიტაციული დალექვა	
მერძეული ძროხები (მრპ), ფერმის კომპლექსის შემადგენლობაში	365			3500	240 100	7700	მანძილი გამოყოფის წყაროდან გაფრქვევის წყარომდე, 1მ	+

დამაბინძურებელ ნივთიერებათა წლიური ემისია M_i ტ/წ, განისაზღვრება ფორმულით:

$$M_i = \sum M_i^n$$

სადაც:

- i - დამაბინძურებელ ნივთიერებათა პირობითი აღნიშვნა;
- M_i^n - გამოყოფის სიმძლავრე ერთი სახეობის პირუტყვის თითოეული ჯგუფიდან,
- რომლებიც დაკავშირებულნი არიან ერთი საერთო ტექნოლოგიური პროცესით.

მაქსიმალური ერთჯერადი ემისია G^i_n გ/წმ, განისაზღვრება ფორმულით:

$$G^i_n = Y^i_n \times N \times q$$

სადაც:

- Y^i_n - i -ური დამაბინძურებელი ნივთიერების კუთრი გამოყოფა, დადგენილი ცხოველთა განსაზღვრული სახეობისათვის, რომელიც მონაწილეობს საერთო ტექნოლოგიურ პროცესში, განზომილება 10^{-6} გ/წმ x ცოცხალი მასის ცენტნერზე გადაანგარიშებით, ხოლო მიკროორგანიზმებისათვის - უჯრედი/წმ x ცოცხალი მასის ცენტნერზე გადაანგარიშებით;
- N - ობიექტზე არსებული ცხოველების რაოდენობა;
- q - ცხოველების საშუალო მასა, ცენტნერი. ნამრავლი $N \times q$ შესაძლოა შეიცვალოს ობიექტზე არსებული ცხოველების მთელი რაოდენობის მასით.

დამაბინძურებელ ნივთიერებათა წლიური ემისია M^i_n ტ/წ, განისაზღვრება ფორმულით:

$$M^i_n = K \times Y^i_n \times N \times q$$

სადაც:

- K - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გ/წმ-დან ტ/წ-ზე გადათვლის პარამეტრებს/ 365 დღიანი წლისათვის $K = 10^{-6} \times 365 \times 24 \times 3600 = 31,536$

გაანგარიშებული გამოყოფის (ემისიის) სიდიდეები შესაძლოა კორექტირებულ იქნას შემცირების მიმართულებით:

- იმ კოეფიციენტთან დამოკიდებულებით, რომელიც უჩვენებს აირმტვერდამჭერი (არსებობის შემთხვევაში) დანადგარის ეფექტურობას და აეროზოლების (ფენოლი, ბეწვის მტვერი და მიკროორგანიზმები) გრავიტაციული დალექვის კოეფიციენტს (დამოკიდებულია გამოყოფის წყაროსა (სადგომი) და გაფრქვევის წყაროს (აერაციული ფანარი, დეფლექტორი და ა.შ) შორის მანძილზე და იცვლება 1 მეტრიდან 50 მეტრამდე (1 მეტრისთვის მიღებულია - 0,23)).

„ყვარლის ბაგას“ მონაცემებისა და გამოყენებული ტექნოლოგიის შესაბამისად მომზადებული დამაბინძურებელ ნივთიერებათა წლიური და მაქსიმალური ემისიის მახასიათებლები წარმოდგენილია ქვემოთ.

მავნე ნივთიერებათა წლიური ემისია ჯამურად, ტ/წ:

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (მერძეული ძროხები) სადგომებიდან:

$$G_{303} = 10^{-6} \times (31,536 \times 66) \times (240 \times 3000 / 100) = 14,9859072$$

$$G_{333} = 10^{-6} \times (31,536 \times 1,08) \times (240 \times 3000 / 100) = 0,0245223936$$

$$G_{380} = 10^{-6} \times (31,536 \times 1908) \times (240 \times 3000 / 100) = 433,2289536$$

$$G_{410} = 10^{-6} \times (31,536 \times 318) \times (240 \times 3000 / 100) = 72,2048256$$

$$G_{1052} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,245) \times (240 \times 3000 / 100) = 0,055629504$$

$$G_{1071} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,05) \times (240 \times 3000 / 100) \times 0,23 = 0,0026111808$$

$$G_{1246} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,38) \times (240 \times 3000 / 100) = 0,086282496$$

$$G_{1314} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,125) \times (240 \times 3000 / 100) = 0,0283824$$

$$G_{1531} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,148) \times (240 \times 3000 / 100) = 0,0336047616$$

$$G_{1707} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,192) \times (240 \times 3000 / 100) = 0,0435953664$$

$$G_{1715} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,00098) \times (240 \times 3000 / 100) = 0,0002225$$

$$G_{1849} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,1) \times (240 \times 3000 / 100) = 0,02270592$$

$$G_{2603} = 10^{-6} \times (31,536 \times (8 \times 10^{-7} \times 260)) \times (240 \times 3000 / 100) \times 0,23 = 0,00001086257$$

$$G_{2920} = 10^{-6} \times (31,536 \times 3) \times (240 \times 3000 / 100) \times 1 \times 0,23 = 0,00156670857$$

$$G_{304} = 0,154 \times 3000 / 1000 = 0,462$$

ხბორების სადგომებიდან:

$$G_{303} = 10^{-6} \times (31,536 \times 66) \times (100 \times 500 / 100) = 1,0406876$$

$$G_{333} = 10^{-6} \times (31,536 \times 1,08) \times (100 \times 500 / 100) = 0,017028$$

$$G_{380} = 10^{-6} \times (31,536 \times 1908) \times (100 \times 500 / 100) = 30,08534$$

$$G_{410} = 10^{-6} \times (31,536 \times 318) \times (100 \times 500 / 100) = 5,0142242$$

$$G_{1052} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,245) \times (100 \times 500 / 100) = 0,00386316$$

$$G_{1071} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,05) \times (100 \times 500 / 100) \times 0,23 = 0,00018134$$

$$G_{1246} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,38) \times (100 \times 500 / 100) = 0,00599184$$

$$G_{1314} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,125) \times (100 \times 500 / 100) = 0,001971$$

$$G_{1531} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,148) \times (100 \times 500 / 100) = 0,00233366$$

$$G_{1707} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,192) \times (100 \times 500 / 100) = 0,00302746$$

$$G_{1715} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,00098) \times (100 \times 500 / 100) = 0,000016$$

$$G_{1849} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,1) \times (100 \times 500 / 100) = 0,0015768$$

$$G_{2603} = 10^{-6} \times (31,536 \times (8 \times 10^{-7} \times 260)) \times (100 \times 500 / 100) \times 0,23 = 0,00000076$$

$$G_{2920} = 10^{-6} \times (31,536 \times 3) \times (100 \times 500 / 100) \times 1 \times 0,23 = 0,0001088$$

$$G_{304} = 0,094 \times 500 / 1000 = 0,047$$

დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი ემისია ჯამურად, გ/წმ: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (მერძეული ძროხები) სადგომებიდან:

$$M_{303} = 66 \times 10^{-6} \times (240 \times 3000 / 100) = 0,4752$$

$$M_{333} = 1,08 \times 10^{-6} \times (240 \times 3000 / 100) = 0,007776$$

$$M_{380} = 1908 \times 10^{-6} \times (240 \times 3000 / 100) = 13,7376$$

$$M_{410} = 318 \times 10^{-6} \times (240 \times 3000 / 100) = 2,2896$$

$$M_{1052} = 0,245 \times 10^{-6} \times (240 \times 3000 / 100) = 0,001764$$

$$M_{1071} = 0,05 \times 10^{-6} \times (240 \times 3000 / 100) \times 0,23 = 0,0000828$$

$$M_{1246} = 0,38 \times 10^{-6} \times (240 \times 3000 / 100) = 0,002736$$

$$M_{1314} = 0,125 \times 10^{-6} \times (240 \times 3000 / 100) = 0,0009$$

$$M_{1531} = 0,148 \times 10^{-6} \times (240 \times 3000 / 100) = 0,0010656$$

$$M_{1707} = 0,192 \times 10^{-6} \times (240 \times 3000 / 100) = 0,0013824$$

$$M_{1715} = 0,00098 \times 10^{-6} \times (240 \times 3000 / 100) = 0,000007$$

$$M_{1849} = 0,1 \times 10^{-6} \times (240 \times 3000 / 100) = 0,00072$$

$$M_{2603} = (8 \times 10^{-7} \times 260) \times 10^{-6} \times (240 \times 3000 / 100) \times 0,23 = 0,00000034$$

$$M_{2920} = 3 \times 10^{-6} \times (240 \times 3000 / 100) \times 1 \times 0,23 = 0,00004968$$

$$M_{304} = 0,154 \times 3000 \times 10^3 / (365 \times 24 \times 3600) = 0,01465$$

ხბორების სადგომებიდან:

$$M_{303} = 66 \times 10^{-6} \times (100 \times 500 / 100) = 0,033$$

$$M_{333} = 1,08 \times 10^{-6} \times (100 \times 500 / 100) = 0,00054$$

$$M_{380} = 1908 \times 10^{-6} \times (100 \times 500 / 100) = 0,954$$

$$M_{410} = 318 \times 10^{-6} \times (100 \times 500 / 100) = 0,159$$

$$M_{1052} = 0,245 \times 10^{-6} \times (100 \times 500 / 100) = 0,0001225$$

$$M_{1071} = 0,05 \times 10^{-6} \times (100 \times 500 / 100) \times 0,23 = 0,00000576$$

$$M_{1246} = 0,38 \times 10^{-6} \times (100 \times 500 / 100) = 0,00019$$

$$M_{1314} = 0,125 \times 10^{-6} \times (100 \times 500 / 100) = 0,0000625$$

$$M_{1531} = 0,148 \times 10^{-6} \times (100 \times 500 / 100) = 0,000074$$

$$M_{1707} = 0,192 \times 10^{-6} \times (100 \times 500 / 100) = 0,000096$$

$$M_{1715} = 0,00098 \times 10^{-6} \times (100 \times 500 / 100) = 0,000001$$

$$M_{1849} = 0,1 \times 10^{-6} \times (100 \times 500 / 100) = 0,00005$$

$$M_{2603} = (8 \times 10^{-7} \times 260) \times 10^{-6} \times (100 \times 500 / 100) \times 0,23 = 0,00000002$$

$$M_{2920} = 3 \times 10^{-6} \times (100 \times 500 / 100) \times 1 \times 0,23 = 0,00000346$$

$$M_{304} = 0,094 \times 500 \times 10^3 / (365 \times 24 \times 3600) = 0,0015$$

5.1.1. ემისიის გაანგარიშება პირუტყვის N1- N10 სადგომებიდან - გ-1 - გ-10

მეთოდის [7] თანახმად, ცხოველების მიერ ათვისებული საკვებიდან ფერმენტაციული დაშლის შედეგად უშუალოდ ცხოველებიდან ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა დამაბინძურებელ ნივთიერებათა მეთავედი ნაწილი, ანუ ემისიის მთელი კომპლექსის 10%.

გაფრქვევა ცალკეული სადგომიდან გვექნება:

დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი ემისია, გ/წმ:

$$M_{303} = 66 \times 10^{-6} \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,004752$$

$$M_{333} = 1,08 \times 10^{-6} \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,00007776$$

$$M_{380} = 1908 \times 10^{-6} \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,137376$$

$$M_{410} = 318 \times 10^{-6} \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,022896$$

$$M_{1052} = 0,245 \times 10^{-6} \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,00001764$$

$$M_{1071} = 0,05 \times 10^{-6} \times (240 \times 300 / 100) \times 0,23 \times 10\% = 0,000000828$$

$$M_{1246} = 0,38 \times 10^{-6} \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,00002736$$

$$M_{1314} = 0,125 \times 10^{-6} \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,000009$$

$$M_{1531} = 0,148 \times 10^{-6} \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,000010656$$

$$M_{1707} = 0,192 \times 10^{-6} \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,000013824$$

$$M_{1715} = 0,00098 \times 10^{-6} \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,00000007$$

$$M_{1849} = 0,1 \times 10^{-6} \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,0000072$$

$$M_{2603} = (8 \times 10^{-7} \times 260) \times 10^{-6} \times (240 \times 300 / 100) \times 0,23 \times 10\% = 0,0000000034$$

$$M_{2920} = 3 \times 10^{-6} \times (240 \times 300 / 100) \times 1 \times 0,23 \times 10\% = 0,0000004968$$

$$M_{304} = 0,154 \times 300 \times 10^3 / (365 \times 24 \times 3600) \times 10\% = 0,0001465$$

დამაბინძურებელ ნივთიერებათა წლიური ემისია, ტ/წ:

გაფრქვევა ცალკეული სადგომიდან გვექნება:

$$G_{303} = 10^{-6} \times (31,536 \times 66) \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,149859072$$

$$G_{333} = 10^{-6} \times (31,536 \times 1,08) \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,00245223936$$

$$G_{380} = 10^{-6} \times (31,536 \times 1908) \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 4,332289536$$

$$G_{410} = 10^{-6} \times (31,536 \times 318) \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,722048256$$

$$G_{1052} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,245) \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,00055629504$$

$$G_{1071} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,05) \times (240 \times 300 / 100) \times 0,23 \times 10\% = 0,000026111808$$

$$G_{1246} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,38) \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,00086282496$$

$$G_{1314} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,125) \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,000283824$$

$$G_{1531} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,148) \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,000336047616$$

$$G_{1707} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,192) \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,000435953664$$

$$G_{1715} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,00098) \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,000002225$$

$$G_{1849} = 10^{-6} \times (31,536 \times 0,1) \times (240 \times 300 / 100) \times 10\% = 0,0002270592$$

$$G_{2603} = 10^{-6} \times (31,536 \times (8 \times 10^{-7} \times 260)) \times (240 \times 300 / 100) \times 0,23 \times 10\% = 0,0000001086$$

$$G_{2920} = 10^{-6} \times (31,536 \times 3) \times (240 \times 300 / 100) \times 1 \times 0,23 \times 10\% = 0,000015667$$

$$G_{304} = 0,154 \times 300 / 1000 \times 10\% = 0,00462$$

5.1.2. ემისიის გაანგარიშება არსებული სახბორედან და საჩრდილობელიდან - გ-11 და საპროექტო სახბორედან - გ-12

როგორ უკვე აღვნიშნეთ, მეთოდის [7] თანახმად, ცხოველების მიერ ათვისებული საკვებიდან ფერმენტაციული დაშლის შედეგად უშუალოდ ცხოველებიდან ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა დამაბინძურებელ ნივთიერებათა მეთავედი ნაწილი, ანუ ემისიის მთელი კომპლექსის 10%.

გაფრქვევა თითოეული წყაროდან გვექნება:

